შპს ,,აისბერგი-9"

2019 წლის
ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის

საწარმოს დასახელება	**აისბერგი-9**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	*შპს*
საიდენტიფიკაციო კოდი	***445384682***
მისამართი	*ქ. ბათუმი,ფრ. ხალვაშის 73ა*
საქმიანობის დარგი	*საცალო ვაჭრობა კვების პროდუქტებით*

	31.12.2019წ.	31.12.2018წ.
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	111,356	205,705
სავაჭრო მოთხოვნები	130,979	25,445
გადახდილი ავანსები	338,160	308,160
მარაგები	3,157,409	1,158,123
-მზა პროდუქცია	1,000,185	1,158,123
-სხვა	2,157,224	
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	24,598	42,625
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	327,278	281,908
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		

სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	**4,089,780**	**2,021,966**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	3,155,400	1,309,833
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	775,400	585,129
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	**3,930,800**	**1,894,962**
საკუთარი კაპიტალი		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	158,980	127,004
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვი		
სულ საკუთარი კაპიტალი	**158,980**	**127,004**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**4,089,780**	**2,021,966**

დირექტორი — რაულ სურმანიძე

მთ.ბუღალტერი — ნათია მახარაძე

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმოს დასახელება	**აისბერგი-9**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	*შპს*
საიდენტიფიკაციო კოდი	***445384682***
მისამართი	*ქ. ბათუმი,ფრ. ხალვაშის 73ა*
საქმიანობის დარგი	*საცალო ვაჭრობა კვების პროდუქტებით*

	ლარი
	2019 წ.
ნეტო ამონაგები	**8,784,494**
- საქონლის გაყიდვიდან	8,668,267
- მომსახურების გაწევიდან	116,227
- სხვა	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-7,705,691
- საწყისი მარაგები	-1,158,123
- მარაგების შესყიდვა	-9,704,977
- საბოლოო მარაგები	3,157,409
საერთო მოგება	1,078,803
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-349,980
ცვეთა/ამორტიზაცია	-72,490
იჯარის ხარჯი	-248,435
საპროცენტო შემოსავალი	
საპროცენტო ხარჯი	-44,753
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-331,169
სულ საოპერაციო ხარჯები	**-1,046,827**

საოპერაციო მოგება	**31,976**
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**31,976**
მოგების გადასახადი	
მოგება/ზარალი	**31,976**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	**31,976**
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	127,004
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	158,980

დირექტორი რაულ სურმანიძე

მთ.ბუღალტერი ნათია მახარაძე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. **ზოგადიინფორმაცია**

შპს ,,აისბერგი-9" – ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2010 წლის 25 მარტს, საიდენტიფიკაციო კოდი 445384682. დამფუძნებელი - 100% წილის მფლობელი ფიზიკური პირი რაულ სურმანიძე პ/№61002009289, დირექტორი - რაულ სურმანიძე; იურიდიული - ფაქტობრივი მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, ფრ. ხალვაშის გამზირი N73ა

საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა არასპეციალიზირებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან ტამბაქოს ნაწარმით.

მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე. კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი;	ევრო;
კურსი 2018წლის 31 დეკემბრისათვის	2,6766	3,0701
კურსი 2019წლის 31 დეკემბრისათვის	2,8677	3,2093

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე და საბანკო დეპოზიტზე (შემნახველი ანგარიში).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	**ნაშთი 31.12.2019**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	130,979
გადახდილი ავანსები	338,160
საგადასახადო აქტივი	24,598
მოთხოვნები სესხის პროცენტზე	
ჯამი:	**493,737**

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო

მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით, რაც მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს, კერძოდ :

- აქტივის დატვირთვა, მწარმოებლურობა
- ფიზიკური ცვეთა, ტექნიკური და კომერციული მოძველება, აქტივის გამოყენების შეზღუდვა.

საწარმო პერიოდულად ახდენს ზემოთმოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მომსახურების ვადისცვლილებას

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავტომობილები	5

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის დ ააღიარდება მოგებასა ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

	წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების სგასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს
მანქანები	47,610	29,000		13,322	63,288
მანქანა-დანადგარები	104,432	20,754	4,768	22,083	98,335
კომპიუტერულიტექნიკა	34,655	20,916		10,114	45,457
ოფისის აღჭურვილობა	7853	2,389		2,048	8,194
სხვა ძირითადი საშუალებები	87358	49,569		24,923	112,004
<u>სულ ძირითადი საშუალებები</u>	281,908	122,628	4,768	72,490	327,278

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ-პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. ასევე ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მათი შეცვლა. ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში აღირიცხება პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების გაუფასურებაზე ტესტირება არ ხდება

<u>მარაგები</u>

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა

დასახელება	**ნაშთი 31.12.2019**
მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	1,158,123
მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	3,157,409
	4,315,532

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. შესაბამისად, კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტში

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასხადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადის ნაწილში. ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით მიღებული მოგების კომპანიაში რეინვესტირების შემთხვევაში და დაიბეგრება 15%-იანი განაკვეთით მხოლოდ კომპანისს დამფუძნებლებზე დივიდენდად გაცემის დროს. ასევე მოგების გადასახადით დაიბეგრება ინდივიდუალური ტრანზაქციები და ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება პროპორციით 15/85. ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოადგენენ მუდმივ სხვაობას და არ წარმოქნიან გადავადებული მოგების გადასახადის წარმოქნის პირობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები არ კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლო უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსოს ხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	**ნაშთი 31.12.2019**
სავაჭროვალდებულებები	3,155,400
ჯამი:	**3,155,400**

საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა დამ ესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ამონაგები

დასახელება	**ნაშთი 31.12.2019**
საქონლის რეალიზაციიდან	8,668,267
სხვა შემოსავალი	107,779
საკურსო სხვაობიდან	8,448
ამონაგები მიწოდებიდან	**8,784,494**

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს საოპერაციო ხარჯების გაწევას, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის

შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებლია მისი საიმედოდ შეფასება.

იჯარა

ყველა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, ბონუსები, დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგელობის დროს. ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება ანაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები:

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან

თუმომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

სხვა ხარჯები

შეძენილი მომსახურების ხარჯები

დასახელება	**ნაშთი 31.12.2019**
სოციალური დანარიცხები	6,928
საიჯარო ხარჯი	248,435
ცვეთა და ამორტიზაცია	72,490
ელ.ენერგიის ხარჯი	92,992
საკანცელარიო ხარჯი	52,121
კომუნიკაციის ხარჯი	4,600
ბანკის მომსახურება	29,347
უარყოფითი საკურსო სხვაობა	42,607
შრომის ანაზღაურები სხარჯი	349,980
საწვავის ხარჯი	20,512
საპროცენტო ხარჯი	44,753
სხვა ხარჯები	82,062
ჯამი:	**1,046,827**

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის - შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით. კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

11.ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 1 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის საბანკო ანგარიშებზე და სალაროში.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის

საწარმოს დასახელება	**აისბერგი-9**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	*შპს*
საიდენტიფიკაციო კოდი	***445384682***
მისამართი	*ქ. ბათუმი,ფრ. ხალვაშის გამზირი N73ა*
საქმიანობისდარგი	*საცალო ვაჭრობა კვების პროდუქტებით*

ლარი

	31.12.2019წ.
საოპერაციო საქმიანობა	
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	10,074,960
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-10,247,545
სხვა	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	
გადახდილი მოგების გადასახადი	
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
საინვესტიციოსაქმიანობა	
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	
ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან	
მიღებული პროცენტი	
მიღებული დივიდენდები	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	
საფინანსოსაქმიანობა	
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	387,134

საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების გადახდა	
სასესხის ძირის გადახდა	-229,986
სესხის პროცენტის გადახდა	-44,753
დივიდენდების გადახდა	
საკურსო სხვაობა	-34,159
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	**205,705**
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	**111,356**

დირექტორი რაულ სურმანიძე
მთ.ბუღალტერი ნათია მახარაძე

ფულადი სახსრები

დასახელება	**ნაშთი 31.12.2019**
ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	13,053
ფული საბანკო ანგარიშზე - ვალუტა	63
ფული სალაროში	98,240
ჯამი:	**111,356**

.საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას ერიცხება ზედმეტად გადახდილი - 24 598 ლარის ოდენობით, როგორც მიმდინარე საგადასახადო აქტივი.

<u>საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები</u>

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშნელოვან მოვლენებს.

პ.ს. კომპანია აისბერგი-9 დაფუძნებულია 2010 წელს, თუმცა ბიზნეს ოპერირებას იწყებს 2015 წლიდან, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს 34 დასაქმებული. ამასთან დაგეგმილია როგორც საცალო სასურსათო ასევე სამშენებლო და საწარმოო მიმართულებით განვითარება, რისთვისაც დღეის მდგომარეობით მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული, როგორც ტექნიკური ასევე ორგანიზაციული სამართლებრივი მიმართულებით. (შპს ბილიონის პური ს/კ 445 506 346, შპს ბათუმიმშენი ს/კ 445 584 314) კომპანიამ დროს ამ მცირე მონაკვეთში შეძლო ჯანსაღ კონკურენციაში შესულიყო კონკურენტ კომპანიებთან ისე, რომ არც ბიუჯეტთან და არც დასაქმებულებთან ან მომწოდებლებთან არ გასჩენია დავალიენება, ამასთან დღემდე აქტიურად განაგრძობს ზრდა განვითარებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე კომპანია იმედს იტოვებს სახელმწიფოს მხრიდან - კანონიერი და სამართლიანი თანადგომისა.